№ 10. 13 იანვარი, კვირა. 1866—1880 13 იანვარი, კვირა. № 10

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუამბის თავში მარტენსოვ, თ. ლუარსაბ ორბელიანის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“–„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроеба“–„Иверія“

„დროება“–„ივერიის“ ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება“–„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია უსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

ცალკე ნომრები

## „დროებისა“

ისყიდება:

თფილისში: შაჰერდოვის სააგენტოში (გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

ქუთაისში ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 11 იანვარს. გაზეთი „რუსის ინვალიდში“ სწერია: დაღესტნის მმართველი თ. ლევან მელიქოვი დანიშნულია კავკასიის მთავარ-სარდლის თანაშემწეთ, და ელისავეტპოლის გუბერნატორი თ. ჭავჭავაძე—დაღესტნის მმართველათ.

ჟურნალი „სლოვო“ მთავრობის განკარგულების ძალით შეჩერებულია სამის თვით.

„მთავრობის მოამბეში“ სწერია: ავსტრიის ელჩი უფ. ლანგენაუ 9 იანვარს გამოესალმა ხელმწიფე იმპერატორს.

—

ტფილისი, 13 იანვარს.

ჩვენი ქვეყანა სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები აღარ არის მით, რაც ბუნებითად სიმდიდრეს მოეთხოვება. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ეგრედ უხვად შემკულს ბუნებით უილაჯობით თითქმის წელი ვეღარ აუწევია და ვერ დამდგარა კეთილდღეობის გზაზედ. აი თითქმის მთელი ეს ახალი ხანა ჩვენის ცხოვრებისა ისე გვეცლება ხელიდამ, რომ ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას არაფერი სიკეთე და წარმატება არ დაჰსტყობია. ჩვენ ამას იმაზედ ვამბობთ, რომ ერთი ეკონომიური წარმოებაც არ მოჰმატებია: რითაც ძველად ჰცხოვრებდა ჩვენი ქვეყანა, დღესაც მარტო იმითი იკვებება. რას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი? უველაზედ უწინარეს იმას, რომ რაც ეს ახალი ხანა დაგვიდგა ცხოვრებისა. ალალბედობით ვცხოვრობთ: არავის არამც თუ თითი გაუქნევია, ფიქრადაც არ მოჰსვლია შეესწავლათ ჩვენი ქვეყანა, გამოეძიათ მისი ბუნებითი სიკეთე და სიმდიდრე, შეეძინათ ყოველგვარი ცნობა, რომ ყოველ აქედამ შესაძლო ყოფილიყო დაესკვნათ საიდამ რა გამოდნება და რა გამორჩომა შეიძლება. დღეს აქამომდე ამგვარის გამოძიების ქციფიც არავის მოსვლია. ქციფს ვინა ჩივის, ამისათვის ჯერ სურვილიც არ აღძრულა. ეს უცოდინარობა იმითი გვჩაგრავს, რომ არ ვიცით სად რა ვეძიოთ, საიდამ რა გამოვიღოთ და როგორ გამოვიღოთ.

ჩვენ რომ ამ შესწავლისათვის, ამ გამოძიებისათვის დიდი ხარჯიც გაგვეწია, ერთი ათად მოგებაში იქნებოდა დღეს და სიმდიდრის წყაროც მოემატებოდა ხალხსა და ქვეყანასა. რასაკვირველია, ეკონომიურს წარმატებაში, ახალის წარმოების აღმოჩენაში კერძო კაცის თაოსნობასაც ბევრი რამ მოუხდენია, მაგრამ ეგ თაოსნობაც ფრთას ვერ გაშლის აქ ჩვენში ათასის სხვა-და-სხვა მიზეზისაგამო. ამ მიზეზთაგანს ჩვენ მარტო ერთს უმთავრეს შევნიშნავთ. ეკონომიურს წადილს, რომელიც სათავეა წარმოებისა ისე არა ჰჩაგრავს რა, როგორც ხვალინდელის დღის უიმედობა და ფინანსობის წყობის დაუდგრომლობა.

ამიტომაც ყოველ კეთილად განწყობილს სახელმწიფოში გარდასახადის შესახებ, სხვათა შორის, იმასაც ცდილობენ, რომ ერთხელ დაწესებულს გარდასახადს რაც შეიძლება მეტი ხანგრძელობა ჰქონდეს და ამით ხალხს, კერძო პირთ ღონისძიება მიეცესთ თავისის ძალღვისა და ჯიბის ღონე და ერთობ ანგარიში შეუწონოს იმ ხან-გრძლიობასა. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში ეს გამოცდილებით აღმოჩენილი და მეცნიერებით აღიარებული კანონი არ არის შეწყნარებული. აი თუნდა, მაგალითად, ავიღოთ არაყის ხდის წარმოება, რომლის თაობაზედაც ამას წინად ჩვენს გაზეთში სიტყვა იყო ჩამოგდებული. სამისა თუ ოთხის წლის განმავალობაში ამ წარმოებაზედ მიმართულმა გარდასახადმა სახე იცვალა.

აბა ეხლა წარმოიდგინეთ რა გამოდის იმ გვარის გარდასახადის გამო, რომელიც აგრე სწრაფად იცვლის ხოლმე სახეს. ვჰსთქვათ, მე მწარმოებელი ვარ. რასაკვირველია, ყოველს ჩემს ანგარიშს დავამყარებ იმ წესზედ, რომელიც დღეს მოქმედებს. ვჰსთქვათ დღეს არაყის ხდას ისე აქვს შეწონილი გარდასახადი, რომ ქვაბმა დღეში ორჯელ მაინც რომ გამოხადოს, კიდევ მოგებაში ვიქნები. დავდგი ქარხანა ამ ანგარიშით და ყველაფერი ამ წესზედ მოვაწყე, ქარხანაც და ჩემის ქონების მეტ-ნაკლებობაც. ამ დროს უცბად ერთს ვისმეს ოთხ-კედელ შუა აეშალა საღერღელი პროექტების წერისა, დაწერა პროექტი, რომლითაც ჰსცვლის ზემოთქმულის გარდასახადის წესსა, მერე ისე, რომ თუ ქვაბმა დღეში ექვსჯერ მაინც ვერ გამოხადოს არაყი, არაყის ხდა საზარალოა. ეს პროექტი ვჰსთქვათ გასინჯულ იქმნა და დამტკიცებულ. ხომ ჰგრძნობთ ის საღერღელის აშლა რა ხეირს დამაყრის: იმოდენა ხარჯს წყალში უქმად გადამიყრის და მე, მწარმოებელს გულზედ ხელებს დამაკრეფინებს.

ეგ კიდევ არაფერი, თუ ამისთანა ამბავი ერთხელ როგორმე შეცდომით მოახდინეს. მაგრამ თუ ეს ცვლილების საღერღელი ჩვეულებად გადიქცა,

## ფელეტონი

—

საკვირაო ლაყბობა

ჩემი გაჭირვება და რედაქტორის გაუკითხველობა—გოზინაყი და გაბუნიას ბენეფისი—ზურნა—უზურნობა და ტრუ-ლა-ლა — ზურნა სობრანიეში და მოკლე.

ზინდა თუ არა, მაიტა ანჩხატური საკვირაო ფელეტონიო, დამდგომია ეს ჩვენი გაზეთის რედაქტორი. სალაყბო ფურცელი უნდა გავმართოთ კვირაობით მაინცაო.

ვიწვი, ვიდაგვი, ვფიქრობ, ერთს ვაი-ვაგლახში ვარ. ნეტავი იცოდეთ „ჩემ გულში რა ამბებია, რა მოდის!“ მაგრამ ვინ რას დაგიდევს, ან შენ გულში რა ამბავია, ან მკითხველს ბევრი ენაღვლება, რედაქტორი ვის ემდურის, ვის რასა სთხოვს, რასა ბძანებს!

მოიტა საკვირაო სალაყბოს ფურცელი და მოიტაო.

* * *

შენი მტერი იყოს ისე დაღონებული და დაძმარებული, მე ვარ დაღონებული.

ჩვენს სალაყბოზე სალამოობით როგაიარო, ძაღლის ჭაჭანებასაც არა ნახავ, არამც თუ კაცისას. ხანდისხან სახელოსნო გამგებლობასთან ორიოდ ხარაზს, მკერვალს ან მხატვარს თუ ნახავ უსტაბაშების მომლოდინესა, თორემ სხვა არაფერი. აქ ის ძველებური მამა ჩვენების ყმაწვილობის დროინდელი სალაყბო ხომ აღარ არის, სალამოობით რომ ხალხი შეიყრებოდა თურმე მეფისაგან დაწყებული უბრალო მუშა-კაცამდის და მასლაათებს გამართავდნენ ან ისპანახის დაძვირებაზე, ან ისპაანის ყეენზე. სალაყბოც გაუქმდა და იქ მოლაყბეთა ძვალიც კი მიწაში გაფუტურებულა...

* * *

გულ-დაფუთქული ვარ, რომ ზურნის ხმაც აღარ მესმის ამ ჩვენ ანჩხატისუბანში. საკრავის ხმა გაწყდა და გულს აღარ მილხენს. მოწყენილმა რა უნდა ვილაპარაკო, რაღა გულის გასართობი რამ უნდა გითხრა?

კვირა-კვირაზე რომ ასე მიდიოდეს და ქუჩაში სიმღერის ხმა არ გაიგონო, ზურნის ხმამ არ დაგატკბოს, განა სათქმელს მოახერხებ რასმე? ულხინოთ, უმღერლათ, ჩვენებური კაცი გასძლებს განა?

ერთხელ, ვთქვათ, რამა სთქვი, მეორეთ და მესამეთ რომ საქმე გაგიჭირდება!

— ეჰ, აგრე იყოსო, მეუბნება ვიღაცა. მაშ აგრე იყოს და ეს ჩემი საკვირაო ფელეტონი რომ პირველი და უკანასკნელი გამოდგეს, ჩემი ბრალი აღარ იყოს.

* * *

გოზინაყის ჭამას მგონია ახლა გოლო მოელო და ახალი წელიწადი კიდეც დაგვავიწყდა, რომ ახალი წელიწადია: მაგრამ გაბუნიას ბენეფისში კი მოგვაგონდა ამ ოთხშაბათსა. ბატონო, ასეთი ხველება დააწყებინა ხალხსა, თითქოს სულ იხრჩობიანო.. პირველი მოქმედება „პინტოსი“ ძლივს მოვისმინეთ ამ ხველებისაგან. „ივა-ნანამ“ ცოტა არ იყო დაამშვიდა; მაგრამ, რა კი გათავდა, ისევ ატყდა ხველება. ხალხს თითქოს თავი ვერ დაეჭირაო.

* * *

ლხინისა და ჭირის შემამსუბუქებელი რამ არის სიმღერა და საკრავი. ჩვენში ძალიან ბერი-კაცების დამარხვა ადრე და ადრე, ზოგჯერ ეხლაც, ზურნით იციან. ბევრი ბერიკაცი ანდერძს უგდებს თავის შვილებსა, ზურნით დამმარხეთო. თეატრის იტალიანური ორკესტრი სად დაიჭიროს და სამი თუმანი სად მისცეს. ზურნასავით ოთხ-ხუთ მანეთათ ხომ არ წავა. ქორწილიც კიდევ ასეა. რომელი ხელოსანი დაიწერს ჯვარსა უზურნოთ? საყდარში რომ მეფე-პატარძალი ზურნით არ მივიდნენ, ქვეყანას რომ არ შეატყობინოს თავისი სიხარული, თავისი ბედნიერება, განა შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირი მაშინ არის. ვერა კაცი, რაც უნდა გამოსარჩომს საქმეს წააწყდეს აზრით და გონებითა, ვერ გაბედავს ხელი მოჰკიდოს ახალს საქმეს და თავისის ქონების ძალი ზედ მოახმაროს იქ, სადაც ყოველ გვარი ცვლილება საღერღელის აშლაზედ დამოკიდებულია. ამიტომაც ჩვენში ძნელია, რომ კერძო კაცის თაოსნობამ ფრთა გაშალოს და რაიმე ახალი წარმოება შეჰმატოს ქვეყანასა. ამიტომაც ჩვენში მუშა-ხელი, ფული, თანხა იმისთანა საქმეს დაჰსტრიალებს, იმისთანა საქმისაკენ მიიზიდება მხოლოდ, რომელიც სადღეხვალიოა, რომელიც ოკლე ხანში შემთავრდება და ხანგრძლივ წარმოებაში კი ვერა ბედავს შეტოპვასა, რადგანაც გამოცდილებით ცნობილია, რომ ხანგრძლივობაში ბევრი ხიფათია. რაკი მუშა-ხელს თანხას ასეთი საბუთიანი მიზეზი აქვსთ, რომ ეგრე განზედ გაუდგნენ ეკონომიურს საქმეს, მაშინ ის დაუდგრომელი წყურვილი ცხოვრებისა, რომელიც ჰბადავს სხვა ქვეყნებში ათას ნაირს სხვა-და-სხვა წარმოებას და მით ამდიდრებს ხალხს, ჩვენში ფრთა მოჭრილია და უქმი.

## ახალი ამბები

პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ, რომ სახელმწიფო რჩევა განიხილავს ამ მოკლე ხანში კავკასიის მთავარ-სამმართველოსაგან წარდგენილ წინადადებას იმის შესახებ, რომ დაღესტანის მაზრის სამოქალაქო გამგეობაში სხვა-და-სხვა ცვლილება იქმნეს შემოღებული.

* * *

კავკასიის მთებიდამ მოვიდა ამბავი, რომ კობისა და გუდაურის სტანციებს შუა თოვლის ზვავები ჩამოწოლილა და ამის გამო რუსეთის გზა შეკრული არისო.

მაშასადამე რამდენიმე დღის განმავალობაში ჩვენ მოკლებული ვიქნებით რუსეთისა და სამზღვარ გარეთის ფოჩტას.

* * *

თფილისის კლასსიკური გიმნაზიის მთავრობა ამ გიმნაზიის მშობლებსა და ნათესავებს მოიწვევს დღეს შუადღეზე, რათა მასწავლებლებთან ერთად მოილაპარაკონ ზოგიერთს პედაგოგიურს საგნებზედ.

შექველია, რომ ჩვენმა ახალმა სამასწავლებლო მაზრის მზრუნველმა (პოპეჩიტელმა) უფ. იანოვსკიმ ძალიან გონიერი და კარგი წესი შემოიღოს ეს, რომ შაგირდების მშობლებსა და ნათესავებს აცნობებენ ყველაფერს, რასაც სამასწავლებლო მთავრობა აკეთებს ანუ ახალს რასმე შემოიღებს სწავლისა და ყმაწვილების აღზრდის საქმეში; აცნობებენ და აზრსაც ჰკითხავენ იმათა. მაგრამ საქმე იმაშია—აქვს რამე მნიშვნელობა ამ მშობლებისა და ნათესავებისაგან გამოთქმულს აზრს მასწავლებლებისათვის, თუ არა? ჭკუაში დასაჯდომი და გონიერი აზრი რომ წარმოსთქვან იმათ და ან რომელიმე რიგიანი წინადადება შეიტანონ, მიიღებენ „ნაფიცი პედაგოგები" მხედველობაში, თუ ისე მხოლოთ „ფორმისათვის" ემასლაათებიან და ამასლაათებენ იმათა?

* * *

სია იმ საგნებისა, რომელიც ხვალ, ორშაბათს, 14 იანვარს, უნდა განიხილოს თფ. ქალაქის რჩევის სხდომამ:

1) დადგინება გუბერნიის საქალაქო საქმეების პრისუტსტვიისა ქალაქის რჩევის ორი განჩინების შესახებ: ა) შტატების თაობაზედ და ბ) პოლიციის ზოგიერთ ჩინოვნიკების შტატ გარეთ ჯამაგირზედ.

2) მოხსენება ქალაქის გამგეობისა პირუტყვთა დამცველ თფილისის საზოდოების თხოვნაზედ, რომ ქალაქმა დაუთმოს ამ საზოგადოებას თავისუფალი ადგილი პირუტყვების საავათმყოფოს გასამართავად.

3) მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ მელიქ-ბეგლიაროვს, ტრიპოლსკის, ზახარსკის და ალექსეევს დამატებითი ჯამაგირი დაუნიშნონ.

4) წინადადება ხმ. იზმაილოვისა ქალაქის რჩევის დადგინებათა და პროტოკოლების შედგენაზედ.

5) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სასწავლებელზედ.

6) მოხსენება გამგეობისა ქალაქის პირველ-დაწყებითის სასწავლებლებზედ და

7) მოხსენება გამგეობისა ცეცხლის ზიანისაგან ურთი-ერთ დაფარვაზედ.

* * *

გაზეთს „კავკაზში" იწერებიან, რომ ამ თვის 15-დამ ერევანში დაიწყებს გამოსვლას ახალი სომხური ლიტერატურული და პედაგოგიური გაზეთი „პსაკ", რომლის რედაქტორათაც იქნებაო უფ. ვასაკ პაპაჯანოვი. გაზეთი კვირაში ერთხელ გამოვა და წელიწადში 4 მანეთად ეღირება.

* * *

ჩვენ მივიღეთ თფ. უეზდის სოფ. საგარეჯოდამ შემდეგი წიგნი გაზეთში დასაბეჭდათ.

„ჩვენმა მღვდელმა მ. ნ. დ—ვმა გავლილ ქრისტეშობისთვის დამდეგს აიყვანა მამასახლისისაგან იასაულები და ჩამოატარა სოფელში პურისა და ფულის მოსაკრებად. ჩამოიარეს იასაულებმა მთელი სოფელი და ვინც ამ სიძვირეში ვერ აძლევდა, ძალით წაართვეს ზოგს ფული, ზოგს ხალიჩა, ზოგს ნაბადი, ზოგს აველჯულობა, ზოგს კაკლის ქილები და სხვ., რაც გააჩნდათ. სხვათა შორის იასაულები ერთ საწყალ გლეხს გ. ლ—შვილს მიუცვივდნენ; მაგრამ რო ვერა უნახეს წასაღები, დაიჭირეს და იმდენი სცემეს, რომ ორი კვირა ავათმყოფი იწვა.

„თუ საჭირო იქნა, მე შემიძლიან ამ ჩემი სიტყვების სიმართლე საცა რიგია საბუთებითაც დაგიმტკიცოთ.

ამას განმარტება არ ეჭირება...

* * *

ჩვენ მივიღეთ გორიდამ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„ჩვენი პატარა ქალაქი მწუხარე მდგომარეობაშია: ვაჭრებს ამოდენა ხანის სიძვირე კბილებში აქვსთ გამჯდარი და რაც უნდა იეფათ იყიდონ რაც კი ხალხის ცხოვრებისათვის საჭიროა, მაინც იეფათ გასყიდვას ველარ ახერხებენ.

„აი ეხლა, რა გახსნილებულა შობას აქეთ, ყასპებმა პირი შეკრეს და საკლავს აღარა ხოცენ, ვინემ იმ ფასებს არ დაგვიწესებთ, რაც ჩვენ გვინდაო! გორში სულ სამი რიგიანი საყასპო არ არის, გარდა იმისა რომ თვით ოროლა ძალათ ყასპები არიან, ხან ყასპობენ, ხან ბაყლობენ, როცა დაუჯდებათ; თვითო შემოსულს საკლავს იყიდიან, ჰკვლენ და გაჰყიდიან.

„პურის მცხობელი არავინ არის, რაც უნდათ იმას შვრებიან. ბევრნი ლაპარაკობენ, რომ ვითომც დარიგებულნი არიან ყასპებიო, პატარა ხანს შეაყენეთ საყასპო და როდესაც ხალხი შეწუხდება უსაკლაოთ, მაშინ თურმე ჰპირდებიან იმ ფასების მიცემას, რაცა სურსთ. რამდენათ მართალია ეს ამბავი ჯერ კი სწორეთ არ ვიცით; ამას კი გარწმუნებთ, რომ ბევრს ღარიბს იქნება ხორცი გემოთ არ ენახოს რა გახსნილებულა. რა ჰქნან? ყველას ხომ არ შეუძლიან ფეხზედ საკლავი იყიდოს და კაი დღეში თავისი სახლობა გაახაროს? ღარიბი კაცი იშოვნის იმ დღისათვის ერთ-ორ აბაზს, ისიც გაჭირვებით, იმედი აქვს, რომ ამ ორის აბაზით თავის თავს და სახლობასაც გაახარებს, მაგრამ რა ქნას, თუ სახლში ოთხი და ხუთი სულია, ორი აბაზის ხორცი

— შინ რამდენიც გინდა, დაუკარითო.

ამაზე გეტყვიან: მგლოვიარები ხომ არა ვართო! უწინ მგლოვიარებსა სცოდნიათ, სარდაფებში მოსაკრავეებს ჩაიყვანდნენ და ლხინებს გამართავდნენო. განა სამგლოვიაროთ გაგვხდენია ჩვენი სალხინოთ საგულებელი ქორწილი, ნიშნობა, ამქრის პური, დღესასწაულის გადახდა, სიხარული საეკკლესიო, სახალხო, საოჯახო? მე რო სიხარული მაქვს, მინდა ყველას გავაგებინო, რომ სუყველამ იცოდეს, სხვებიც გავახარო...

* * *

ეს ჩვენი ხასიათია: ცა გადაწმენდილი თავს გვადგას; შევხარით იმის ლაჟვარდს მოწმენდილობასა ღამე ვარსკვლავით მოჭედილს ან მთვარით განათებულს, დღე ბრწყინვალე მზეს, უღრუბლოს. გულიც ასე გვაქვს გადაშლილი და გადაწმენდილი. ბინდბუნდობა არც ცისა გვიყვარს, არც ქვეყნისა, სიხარულიც გადაშლილი გვიყვარს და გულიანი; ნაღველიც გულში ვერ ჩაგვითქვამს. ბინდათ რომ გულ-ჩათხრობილობა გვასწავლოთ!

* * *

აი წყალ-კურთხევა დღეს. შეხედეთ ზღვა ხალხი მოდის, რაც სახეზედ ეტყობა, გულშიაც ისა აქვს; რაც გულში უჩურჩუნებს, სახეზე ემცნევა.

გაიფანტ-გამოიფანტა ხალხი, დარჩა ბულვარზედ საზოგადოების ნაწილი. ეს ნაწილი ზურნას არ ეწყობა, მაღალი, გახსნილი გემოვნების პატრონია, მაღალი გახსნილი მუზიკა უყვარს, მეტადრე ოპერეტტები.

შეხედეთ, ნუ თუ ამას სახეზედ შეატყობთ იმ გულ-წრფელ სიხარულს ანუ მწუხარებას? არა.

ეს ზრუნვის სახის პატრონი ასე თითქო ქვეყნისთვის ჩაფიქრებული რომ მოდის, აბა ნახე გულში რა „ტრულალას" იძახის.

— სამს დღეს ვერც ერთი ქალი ვერ დაიჭერს თავს, რომ ჩემ წინაშე არ დამარცხდეს და გულის დამძლევად არ მაღიაროს.

აი ქალები, რა მხიარულის სახით დასეირნებენ. თქვენ მართლა მხიარულები გგონიათ? ნუ იფიქრებთ. ყოველი მათგანი ოხრავს: „ახ, როდის იქნება იმ კავალერთან ტრუ-ლალა გავმართო.—ან გასათხოვარი ქალი ასე მძიმეთ რომ მოდის, რა გგონიათ რა აქვს სამძიმო?" ახ, ნეტა როდის იქნება ქმარი მყავნდეს, რომ მეტი ტრუ-ლა-ლა მოვახერხო.

აი ჩვენი ნასწავლი და განათლებული ქალი გაცხარებული ბაასობს. თქვენ ასე გგონიათ მართლა ტვინს ამუშავებს? ნუ ფიქრობთ. ტვინში სულ ნახევრათ წიგნიდამ ამოკითხული რაღაც უტრიალებს, ნახევრათ ტრულა-ლა და ორივე ერთმანეთში შერეულა და ოპერეტტის ტრუ-ლა-ლაზე უარესი რაღაც გამოდის, არც მთისა, არც ბარისა, არც ამ ქვეყნისა და არც იმ ქვეყნისა.

სულ ეს ტრუ-ლა-ლები ემხობიან ოქროს ვირის წინაშე. აი სად არის გამარჯვება და დამარცხება. თუ დაკვირვება იცი, აბა შეხედე თუ ფულიან კაცის წინაშე რაც უნდა სწავლისა და გონების პატრონი იყოს ქალი, თუ არ დადნეს.

აი გულში ჩათხრობილი, რომელსაც პირზე ვერ შეატყობ, რაც გულში ამბავი აქვს.

ნუ თუ ამისთანებად უნდა გადააქციოთ ჩვენი გულ-ახდილი ხალხი?!

* * *

მე უმღერალი ვერა ვსძლებ,
სულო, შემინდევ, მკვდრისაო,
მკვდრისა და არა მკვდრისაო,
ხათრი მაქვს მეზობლისაო.

უთქვამს ჩვენ ხალხსა და ვერ გასძლებს უმღერლათ, უზურნოთ, უდუდუკოთ. თუ კი მკვდრებსაც არა მარხავენ, ცოცხალმა როგორ გასძლოს? სიმღერაც მინდა, საკრავიცა და ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ეყოფა? რიღათი იშვე-ბედოს ამისთანა სიძვირეში, ჭამას გარდა რამდენი სხვა საჭიროება აქვს კაცის ცხოვრებას?!“

## „დროების“ კორრესპონდენცია

**თელავი.** 5 ინვარს. წელს ჩვენმა თელავმა ცოტა არ იყოს თვალები მოიფშვნიტა, ყურები დააფართხუნა და სთქვა: მოდი, თუ არას გავაკეთებ, გავიგონებ და დავინახავ მაინც რასმეო! სთქვა და კიდეც აასრულა.

ჯერ იწყო ლაპარაკი „დეპოს“ დაარსებაზე; ილაპარაკა, ილაპარაკა და როცა კარგათ შეაჩვია ყური სიტყვებს „დეპო“, იაფობა, გაჭირების ხელიდგან განთავისუფლება, კრედიტი“ და, სხვ., ამოირჩია მის ბადლათ „სამოქალაქო ბანკი“ და დაიწყო მასზედ საუბარი. აქაც ჩქარა შეაჩვია ყური სიტყვებს:„ ბანკი, ქალაქის გამდიდრება, გაჭირებულთ დახსნა იაფის სარგებლით“ და გადავიდა „აქციონურ ბანკზედ.“ ახლა თელაველების გონებაში დაფრიალებდა „აქციონური ბანკი,“ რომელშიაც შეიტანეს ას-ასი თუმანი: „ძაღლი უბამ, კაცი ჭამიამ, გოშიაშვილმა, აჯამამუდოვმა“ და სხვ, ერთი იმათგანი დანიშნა დირექტორად, მეორე კასირად, მესამე და მეოთხე პირუტყვების მპარსველებად, მაგრამ აპერაციის დაწყება კი აღარ დასცალდათ, რადგანაც დიდი ავდრები იყო ამ შემოდგომაზე და მათი ბანკი წარიღა.

მის ბადლით თელაველებს აღმოუცენდათ ორი ახალი სოკოები·-„თელავის კლუბი“ და„სამოქალაქო სასწავლებლის პანსიონი.“ ეხლა ეს ორი სოკო უპირავთ ხელში და არ ვიცით კი როდის გადააგდებენ ან ერთსა და ან მეორესა, რომ წავიდნენ ახლა სხვის საძებნელად.

თელავის სამოქალაქო სასწავლებლის პანსიონის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ აქ არც ვინმე საქმის დამწყობი და წამყვანი კაცი ჩანს, და არც შეხაწირავი! გარდა ერთის სახლებისა, რომელიც შესწირა თ. ტ. გ—ხა. თუმცა ამ საგანზე იყო ყრილობა თელავის თავად-აზნაურთა, მაგრამ ამ კრებამაც ისე ჩაიარა, როგორც ჩაუვლიათ ჩვენს წინანდელს კრებებს. ყველანი მოსურნენი იყვნენ პანსიონისა, მაგრამ არც კი იცოდნენ რის საშვალებით ან ვისის წყალობით, გაემართათ. ზოგი ამბობდა: „თავად-აზნაურთა ბანკსა ვთხოვოთ რომ ყოველ-წლივ ჩვენი ფულების მონაგები გვაძლიოსო და ჩვენს შვილებსაც დღეის შემდეგ ნულარ მიიღებს თავის ფვარდულშიო; ზოგი თავის ჯიბესაც არა ზოგავდა ამ საქმისათვის, მაგრამ არ იცოდა ვისთვის უნდა გადაეცა და ვინ ითავებდა ამ საქმის სისრულეში მოყვანას. ჯერ-ჯერობით საქმე ამაზე შედგა, თუმცა კი ამისთანა კაცის პოვნა მათთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც მათს თავ-მჯდომარეს, მარშალს კარგად შეეძლო ამ საქმის ასრულება.

თელავმა სხვა მხრითაც იჩინა თავი: წელს მას უფრო ბევრი სტუმრები ჰყავს მინემ კვლავ ჰყოლია. ამ სტუმრებში პირველი ადგილი უჭირავთ „კეთილ-შობილთა,“ რომელნიც ეკედლებიან თელავს და რომელთ ჩამოსვლით სარგებლობენ ერთის მხრით ვაჭრები, რადგანაც თელავში მცხოვრებ კნეინ-კნიაჟნებს უფრო კაი ჩაცმა-დახურვა და სმა-ჭამა უნდათ, ვინემ სოფელში—და მეორედ თელავის მემკვიდრე „კეთილ-შობილნი,“ რომელთაც კარგახანია თავიანთ სახლში კუჭი აღარ გაუღიათ ჯიბის სისუსტის გამო და დათარეშობენ უცხო სულებზედ. როცა კი იპოვიან ამისთანა სულს, სიცოცხლე გქონდეთ ისინი ტკბილად და სისტემატიურად წუწნას დაუწყებენ: ჯერ ეს სტუმრებიან სადილზე ან ვახშამზედ და კარგათ ჩაასხვენებენ ღვინოს, მერმე მოითხოვენ ქაღალდს და მით ერთი-სამათ გადუხდიან, თუ ღვინის სმაში დააკლდეს რამე.

ამ ნაირად თელავი თან-და-თან წინ მიდის და იმედია, რომ მას ერთს დროს ეკოლებს ყველაფერში დახელოვნებული საზოგადოება, გარდა დოკტორისა და და მეიროვსის ლესნიჩისა.

3. ხ.

**ქუთაისი,** 4 იანვარს. ქუთაისში გახლავს საქალებო შკოლა ღარიბთათვის, რომელსაც შეადგენს დღეს ორი ნორმალური კლასი და ერთი მოსამზადებელი. ეს შკოლა კარგი ხანია არსებობს, მაგრამ მხოლოდ დღეს მიეცა მას განსაზღვრული ხასიათი, მხოლოდ დღეს შეუძლიან სთქვას—უგზო-უკვლობას მოვრჩი და ნამდვილს, სწორე გზას დავადექიო. რას ემსახურებოდა ეს შკოლა აქამდის, რა საგანი ჰქონდა მას, რა სარგებლობა უნდა მოეტანა საზოგადოებისათვის, რომელიც ასაზრდოებდა!... ამის პასუხს ნუ მოელით ჩემგან და არც შემიძლია გითხრათ რამე ამაზედ. ამას ვიტყვი მხოლოდ, რომ არავითარი პროგრამმა ამ შკოლას არ ჰქონია და საქმეც ამის-და-გვარად მიდიოდა....

უფ. მარსოვმა (ქუთ. გუბ. სახალხო შკოლების დირექტორმა) მოსვლისათანავე შენიშნა ეს უმგვანოება და სათანადო ღონის-ძიებაც მიიღო—შკოლას სულ სხვა ფერი და ხასიათი მისცა. შარშან აქ იყო მხოლოდ ორი კლასი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ერთი კლასი ოთხ-განყოფილებიანი. ყმაწვილები სწავლობდნენ შუადღემდის, შემდეგ კი ზოგნი შინ მიდიოდნენ და ზოგნი იქვე რჩებოდნენ; ამათ ეძლეოდათ საუზმე, საუზმის შემდეგ ხელ-საქმობდნენ და საღამოს კი ესენიც სახლში მიდიოდნენ. ქართულს ენას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, კვირეში თითო განყოფილებას ჰქონდათ თითო გაკვეთილი; ამის გამო მთელი წელიწადი გადიოდა მარტო ანბანის სწავლაში და იმასაც ვერ ასწრობდნენ ხეირიანად.

ახლა კი შკოლის საქმე სხვა ნაირად არის მორთული: უფ. მარსოვმა გახსნა მოსამზადებელი კლასი ორ-განყოფილებიანი; პირველში და მეორეში განყოფილება არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ მოხერხდა და ამის გამო მეორე კლასში დროებით არის ორი განყოფილება. ყმაწვილები სწავლობენ, როგორც სხვა სასწავლებლებში, ნაშვადღევის ორს საათამდის, ასე რომ მოსამზადებელს კლასში არის ყოველ დღეს ოთხ-ოთხი გაკვეთილი, სხვებში კი ხუთ-ხუთი. ასწავლიან შემდეგ საგნებს: რუსულს ენას, სამღთო სჯულს, არითმეტიკას, ქართულს ენას, დაკვირვებით სწავლას, სამშობლოს-ცნობას, ხელთსაქმეს, წერას და გალობას. სამშობლოს-ცნობა შემოღებულია უფ. მარსოვისაგან; წინედ არ ასწავლიდნენ. ქართულს ენას აქვს მითვისებული მოსამზადებელს კლასში კვირაში ოთხი გაკვეთილი, პირველშიდაც ამდენი, მეორეში კი სამი. პროგრამმაც არ არის ურიგოდ შედგენილი; მეტი ახლა არც კი მოეთხოვება ამისთანა შკოლას. ქართულის ენის მასწავლებელს ეუბნება ყოველთვის, რომ ამ ენის სწავლებას დიდი მეცადინეობა მოახმაროს.

ამ შკოლას დღემდის პროგრამმა არ ჰქონია-მეთქი. უფ. მარსოვმა მასწავლებლების დახმარებით მისცა მას პროგრამმა, რომელიც, რასაკვირველია, ცვლილებას მიიღებს შემდეგში. როგორც ხედავთ—უფ. მარსოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ შკოლისადმი და დიდადაც უნდა ვმადლობდეთ მას ამისათვის. მხოლოდ აქ ნება მექმნეს ვსთქვა, რომ შკოლის საქმე სულ ისე არ არის მორთული, როგორც ამას მოითხოვს ყმაწვილების სულიერი და ფიზიკური ბუნება, რომელსაც, მოგეხსენებათ, ერთობური კანონები აქვს და ამ კანონებს ზურგი არ უნდა შეაქციოს პედაგოგიამ, თუ უნდა, რომ ნამდვილს აღზრდას ემსახუროს....

ე. მ.—ძე.

# უცხოეთი

ტფილისი 12 იანვარს.

დიპლომატების გულის წადილი და მიდრეკილება, როგორც მოგეხსენებათ,

---

ლის ტრფიალებაცა. მაგრამ ჩემებურათ კი მინდა.

საღ წავიდე? ზურნა-დუდუკი არსად არ ისმის.

მოდი წავიდეთ „სობრანიეში“-მეთქი და წაველი. იანვრის 7-სა ამა 1880 წელს ოცდა ხუთი წლის დაარსებას დღესასწაულობენ. დიდ ზალაში ჯერ კონცერტია,ახლა იმართება ტანცაობა; მაგრამ მოწყენილი ვარ. გულის სატრფიალოს აქ არას ვნახავ, ლეკურს ვერ დაუვლიან, მოდი ნუ მოიწყენ. ვინცა თამაშობს, ლეკური კარგა არ იცის და ვის უყურო? ტანციობენ ის ტრუ-ლა-ლა ქალები, რომელთაც საქმროები უსხედან, უალერსებენ და გული კი სხვისკენ, ანუ სხვებისკენა აქეთ. აქაც ტრუ-ლა-ლა ყოფილა.

* * *

ვახშამი საერთოა, რვაასი კაცი ერთათ პურსა სჭამს. რა ლხინი უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ვფიქრობ გულში! მაგრამ აი ჭირი. ვინც პირველათ ჩაჯდა, ადგილები განიერათ დაიჭირეს, დანარჩენი დარბის აქეთ და იქით, სანამ სადმე ჩაჯდებოდეს.

მაგრამ რა ლხინია! ვახშამიც კანკანს დაემგზავსა: ბოლოს შავმა ლრუბელმა გაიარა ამ მეჯლისში. ერთმა წევრმა მეორე სახალხოთ გამოლანძღა ღვინის სმის დროს, როდესაც სადღეგრძელო უნდა დაელიათ.

საზოგადოება გამხიარულდა. მუზიკაც აკვრევინეს და აკვრევინეს, ტანცაობამ უშველა ყველას.

მოდი და ზურნას დააბრალე, რომ ქუჩაში ხმაურობასა და აყალ-მაყალსა ჰმართავსო. აქ ხომ ზურნა არ იყო!

* * *

იყო, მაგრამ სხვა ზურნა იყო. „ობზორის“ ზურნამ ასტეხა ეს აყალმაყალი. ფელტონში „სობრანიეს“ ამბავი იყო მოხსენებული, რომ ბევრი ცუდი ადათებია იქაო. ეს ზოგს ძალიან ეწყინა და ერთს თავის წევრს დააბრალეს ამ ფელტონის წერა. თუ არ მოგწონს, რაღათა ხარ აქაო?

— მინდა კარგის ადათების შემოტანაო.

ლაპარაკი ცალ-ცალკე ძალიან გაიმართა. ერთი თანაშემწე თუ ახლომყოფი „ტიფლისკი ობიავლენიისა“ გულ-ნატკენსა ჰგავდა და ბოკლის არგუმენტებით ამტკიცებდა, ხალხის გაუმჯობესობა შკოლებით და საზოგადო წყობილებით შეიძლებაო! ძლიუბმა რა ქნასო!

— მალადეც-მეთქი! ძლივს ერთი ლიტერატორი არ გამოვიდა ამ სობრანიეში, რომ ნათელი აზრი სთქვა-მეთქი. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ უკუღმართი ბედის ამბავი. არავინ ყური არ ათხოვა. დაშლის დრო იყო, 4 საათი სრულდებოდა.

ერთის სიტყვით, აქაც ტრუ-ლა-ლა იყო, დასწყევლა ღმერთმა!

* * *

ბაბუნიას ბენეფისი გადარჩა, რომ ტრუ-ლა-ლა არა ჩანდა. გულ-ახდილობა, წრფელი გრძნობა, მხიარულება საყოველთაო იყო. ლეკურიც, საზანდარიც, დუდუკიც, ზურნაც და იავნანის მღერაც. მოდი და ნუ მოილხენდი.

სწორეთ დიდი ხანია, ამისთანა მხიარულება, წრფელი და გულ-გაშლილი არ გვინახავს. ყველას გვინდოდა იავ-ნანის დროს ბანი მიგვეცა, დუდუკთან გვემღერა, ზურნასთან მკლავები გაგვეშალა, და ახალ ნაფეშქაშევ დაირისთვის ფეხი აგვეყოლებინა.

არც ვტანცაობდით, არც ვახშამსა ვჭამდით, არც ვსვამდით, მაგრამ გული თვრებოდა, სტკბებოდა, ლხინითა ალივსებოდა.

ანჩხატელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელია, როგორც ღამე. მათი ლაპარაკი თითქო განგებ იმგვარად არის მოშართული, რომ მსმენელს შეაძლებინოს ისეც გაიგოს, ასეც, პირდაპირაც და უკუღმაც. ასე, მაგრამ მაინც ხმას ამოიღებს, თუ არა რომელიმე დიპლომატი რომელსამე ამ ჟამად წამომდგარ საპოლიტიკო საგანზედ იმ წამსვე ეს ხმა ნაღარასავით დაეცემა მთელს ევროპას და მთელი ამოდენა ჟურნალ-გაზეთები სმენათ გადიქცევა ხოლმე. დიპლომატების ამ გვარ ლაპარაკთა შორის ამ ბოლოს დროს დიდს შესანიშნავი შეიქმნა ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა მან ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო სახელმწიფო გასავალ-შემოსავლის განსახილველად, კომმისიაში. თუმცა ეს სიტყვა მთლად არ არის ცნობილი და გაზეთებში მარტო შემოკლებით არის გადმოცემული ტელეგრაფით, მაგრამ მაინც მისი დედა-შინაარსი საკმაოდ არის განვითარებული. კომმისიაში გაიმერლეს (ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს) მიჰმართეს კითხვა გერმანიის შესახებ. მინისტრს ამაზედ უთქვამს თურმე შემდეგი: მთავრობა გულწრფელად ცდილობსო დაიცვას მეგობრობა ყველა სახელმწიფოსთან. დაახლოვებითი მიმოსვლა ავსტრიისა და გერმანიის შორის დიდი ხნის ამბავიო. ანდრაშიმ (ავსტრიის უწინდელმა გარეშე საქმეთა მინისტრმა) განიზრახაო უფრო განვითარებულ იქმნესო ეს მიმსვლა და გერმანიისაგან სრულიადი თანაგრძნობა მოიპოვაო. ბერლინის კონგრესმა იმედი მოგვცაო, რომ ხალხნი მასაქეთ სრულიად დარწმუნებულნი იქნებიანო მშვიდობიანობაზედ, მაგრამ ეს იმედი, მოულოდნელ მიზეზების გამო, მთლად ვერ გაგვიმართლდაო. ბისმარკთან მოლაპარაკებამ ცხადად დაგვიმტკიცაო, რომ ჩვენ ყველა მიმე საქმეში ერთი და იგივე ინტერესი მიგვიძღვის და ერთსა და იმავე გვარად გვესმის ეს საქმეები რაც უნდა მოხდესო შემდეგში.

ეს სიტყვები დიდს შესანიშნავნი არიან იმ აყალმაყალის წინაშე, რომელიც ასტყდა ამას წინედ ავსტრიის და გერმანიის დამეგობრების თაობაზედ. ჯერ არვინ იცის ამ დამეგობრებას მოჰყვა რამე მტკიცე პირ-შეკრულობა და ბეჭედ დასმულია თუ არა. ზემოხსენებული სიტყვები კი გაიმერლესი გვიჩვენებენ, რომ ავსტრიისა და გერმანიის დამეგობრებას აქვს არა ხუმრობითი მნიშვნელობა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მაგრამ ვინ იცის: როგორც ზემოდ მოგახსენეთ, დიპლომატების გული ბნელია როგორც ღამე. ჩვენ ვასრულებთ მხოლოდ მემატიანეს მოვალეობას და დამჯდარი მსჯელობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ როდესაც დიპლომატების ლაპარაკს რაიმე ფაქტი მოჰყვება.

## სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია შემდეგ პირების საქმეები განსახილველად:

15 იანვარს

1. სარქის ხალათოვისა—ბრალდება მარტიროსოვის სადგომიდამ სხვა და სხვა ნივთების მოპარვა.

2. ეკატერინე ქანდრევიჩისა—ბრალდება ანნა ფუკსის სამოვრის მოპარვა.

3. იაგორ ზურაბოვის ბრალდება საგატელოვის სადგომიდამ ნივთებით სავსე ზანდუკის მოპარვა.

16 იანვარს

1). კოსტანტინე სრაპოვიცკის, რომელსაც ბრალდება ეშმაკობა (შულერობა) კარტის თამაშობის დროს.

2). ალალო ბატიევისა-ბრალდება სითაროვის მკვლის განზრახვა.

17 იანვარს

1). იბრაგიმ ალი-ფაშა-ოღლისა—ბრალდება უბანდეროლით თანბაქოს გაყიდვა.

2). პეპან ალთუნაშვილისა—ბრალდება მელანია კაკოლაშვილის ქალის წვალება.

19 იანვარს

1). თედო გოგრანიძესი—ბრალდება კარაპეტოვის გაქურდვა.

2). ეკატერინე მანანოვისა—ბრალდება ნება-დაურთველად არაყის გამოხდა.

21). იანვარს

1). ნიკო ხოხობაშვილისა—ბრალდება ლესნიჩის ყორღანოვის შეურაცყოფა, როდესაც ეს თავის თანამდებობას ასრულებდა.

22 იანვარს

1). ჯალალ ქიაზუმ-ოღლისა—ბრალდება ალ-შიხალ-ოღლის მოკვლა.

2). ზაქარია ელიზაშვილისა და თედორე გიგოლაშვილისა — ბრალდებათ ტუსაღების გაშვება.

24). იანვარს

1). ზურაბა გორგაძისა—ბრალდება საველ ლუკოვკინის გაცარცვა.

26). იანვარს

1). კურბან ბაირამ-ოღლსა, გიგოლა აზნანარაშვილისა იოსებ კელენტარაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ თ. ჯორჯაძის გაქურდვა.

# განცხადებანი

## კერძოობითი

სომეხთ ნერსესის სემინარიის პოპეჩიტლების სოვეტში, ამ იანვრის 23-სა საღამოზედ 7 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორჟკოთ) იჯარით მისაცემათ თელეთის წმინდის გიორგის ეზოში ერთის დუქნისა თავისის ერთის ოთახითა.

მსურველს ადებისა ამ დუქნისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (кондиція) იმავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმის დღეების გარდა, დილის 10—12 საათამდინ.

(3—1)

## სავაჭრო სახლი

## იაგორ კასუმოვი და კამპანია

ჰყიდის შეშას, რომელიც დაწყობილია ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგზალზე. შეშა არის რცხილისა და ჯანდრის, კარგი თვისებისა და მშრალი. საჟენი ისყიდება 40 მანეთად შინ მიუტანელად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კასუმოვის უმთავრესს კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლში.

ქუთაისისა და ფოთის მცხოვრებთა და აგრეთვე ამ ქალაქების ახლომახლო სოფლების მცხოვრებთ ეცნობებათ, რომ ამ ახალ-წლიდამ **სტრახში** ფაბრიკები, სახლები, ცეცხლის-ვემები, ნავები, საქონელი და სხვა ყოველგვარი ქონება მიიღება „**ცეცხლისაგან უზრუნველ მყოფს რუსის საზოგადოებაში**“. მსურველს შეუძლიან მიმართოს ქ. **ქუთაისში** ინჟინერ ლავდანსკის, რომელიც დგას არტილერიის ქუჩაზე, სახელმწიფო საინჟინერო სახლებში; **ფოთში** კი უნდა მიმართონ ინჟინერ სარპეცკის, რომელიც დგას ჭაკოს სასტუმროს მახლობლად საინჟინერო სახლში.

(10—3)

## სახაზინო

კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზი აცხადებს, რომ ამა 1880 წლის თებერვლის თვის 11-ს გაისყიდება თფილისში ქვემოხსენებულ პირთა უძრავი მამულები (სახლები), რომელიც დაგირავებულია პრიკაზში, რადგან ამ სახლების პატრონებს თავის დროზე ვერ შემოუტანიათ ფული ვალისა და იმის სარგებლის გარდასახდელად; სამი დღის შემდეგ დანიშნული იქნება ხელ-მეორედ ვაჭრობა (პერეტორჟკა):

1) ერთ-სართულიანი სახლი სოლომონ ჯავროვისა—ქალაქის 1 განყოფილების 1 უჩასტკაში, დავიდოვისა და ოვრაგის ქუჩაზე, № 106. სახლი დაგირავებულია 1877 წელს, ვალი 2,000 მან.

2) ერთ-სართულიანი სახლი დიმიტრი ბელონოვსკისა —2 განყოფ. 14 უჩასტკაში, ავლაბარში, № 378. დაგირავებულია 1876 წ. 1,000 მან.

3) ორ-სართულიანი სახლი თფ. მოქალაქის ივანე არუთინოვისა—2 განყოფ. 13 უჩასტ., ავლაბარში, № 261. დაგირავ. 1876 წ. 2,000 მან.

4) ამისივე ორ-სართულიანი სახლი, 2 განყოფ. 13 უჩასტ., ავლაბარში, № 261. დაგირავ. 1875 წ. 2,000 მან.

5) ორ-სართულიანი სახლი ელიზაბედ ფირუმოვისა, 1 განყოფ. 8 უჩ., ძველ ციხის ქუჩაზე. 1877 წ: 2,200 მ.

6) ორ-სართულიანი სახლი თფ. მოქალაქის სარქის სარქისოვისა—1 განყოფ. 1 უჩასტ. მე-10 ნაგორნის ქუჩაზე, № 336. დაგირ. 1877 წ. 1,800 მან.

7) ორ-სართულიანი სახლი მართა მარქაროვისა—1 განყოფ. 2 უჩასტ.. ლაბარატორის ქუჩაზე. 1870 წ. 1,800 მან.

8) სამ-სართულიანი სახლი ეკატერინა ხალათოვისა—1 განყოფ. 1 უჩ., არსენალის ქუჩაზე, № 87. დაგირავ. 1868 წ. 22,500 მან. ამ ჟამად ეს სახლი მიხეილ და ისაკ ფულინოვებს ეკუთვნის.

9) ორ-სართულიანი სახლი აზნ. იოსებ დავ. ბაბაშვილისა—1 განყოფ. 1 უჩასტ., ოლგინის ქუჩაზე. 1877 წ. 6,000 მან.

10) ორ-სართულიანი სახლი აარონ და მიხეილ სტეფანეს ძეთ ქამოევებისა—1 განყ. 6 უჩასტ., დოქტორის ქუჩაზე, № 78. დაგირავ. 1859 წ. 2,400 მან.

ვისაც ამ ზემო მოყვანილ მამულების ყიდვა ჰსურს, დაფასებითი სიების ნახვა პრიკაზში შეუძლიან.

(5—2)

არტაანის სამაზრო გამგეობაში ამ 1880 წლის 28 იანვარს იქნებავაჭრობა (ხელ-მეორედ ვაჭრობა სამის დღის შემდეგ) იჯარით (არენდით) მიცემაზედ იმ საკირე ქვისას, რომელსაც 2000 ოთხ-კუთხი საჟენი სივრცე უჭირავს და რომელიც მდებარებს სოფ. არილას მახლობლად ფოცხოვის საპრისტავოში. იჯარის ვადა სამი წელიწადია ე. ი. 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

(3—2)

თფილისის გუბერნიის გამგეობა (პრავლენიე) აცხადებს; რომ ამა 1880 წლის 21 თებერვალს იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ ყარაიაზის სახელმწიფო საზამთრო საბალახე მიწებისა №№ 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, და 19, იჯარა მიეცემა სამის წლის ვადით 1880 წლის 1 ივლისიდამ.

დაწვრილებული პირობების (კონდიციების) შეტყობა მსურველს შეუძლიან გუბერნიის პრავლენიაში დილის 10 საათიდამ ნაშუა-დღევის 2 საათამდინ.

(5—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი